საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
წ ა რ მ ო მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ი თ ი ს ა ბ ჭ ო

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №07-01\86

ქ. ბათუმი 14 აგვისტო, 2020 წ.

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივლისის N04 გადაწყვეტილებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, 32-ე მუხლის, ბსუ–ს წესდების მე–10 მუხლის, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2020 წლის 6 აგვისტოს №06-01/56 დადგენილების და წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის საფუძველზე წარმომადგენლობითმა საბჭომ

გადაწყვიტა:

1. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივლისის N04 გადაწყვეტილებაში, კერძოდ, დანართი 1-ში (წესში) შევიდეს შემდეგი სახის ცვლილება და დამატება:

ა) წესის მე-4 მუხლის მე-5 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) შესაბამისი აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის (დიპლომის) კანონმდებლობით დადგენილი წესით დამოწმებული ასლი (უცხო ქვეყნაში მიღებული განათლების ან/და სამეცნიერო ხარისხის აღიარების კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში) და დოქტორანტურაში სწავლის დამადასტურებელი ცნობა (გაცემული საკონკურსო განცხადების წარმოდგენამდე 10 დღის ვადაში);“

ბ) წესის მე-4 მუხლის მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,ა) განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ (განაცხადის ფორმა მტკიცდება ბსუ-ს რექტორის ბრძანებით);“

გ) წესის მე-4 მუხლის მე-6 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს ,,გ“ ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,გ) ნასამართლობის შესახებ ცნობა (**შენიშვნა**: ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში არ შეიძლება დასაქმდეს „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლევი პირი ან/და პირი, რომელსაც იმავე კანონის საფუძველზე სასამართლომ ჩამოართვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლება).“

დ) წესის მე-4 მუხლის მე-6 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტში აღნიშნული კონკურსანტის განაცხადის ფორმა (წესის დანართი 2) **ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი;**

2. ეთხოვოს რექტორს წინამდებარე გადაწყვეტილებით ძალადაკარგული ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივლისის N04 გადაწყვეტილებით დამტკიცებული წესის დანართი 2-ის (კონკურსანტის განაცხადი) ფორმის ნაცვლად დაამტკიცოს განაცხადის ახალი ფორმა, საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა გათვალისწინებით.
3. გადაწყვეტილება (ასევე შეტანილი ცვლილებებით კონსოლიდირებული ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივლისის N04 გადაწყვეტილება) განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
4. გადაწყვეტილება დაეგზავნოს რექტორს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ბსუ-ს ფაკულტეტებს (დეკანებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსებს, დარგობრივი დეპარტამენტების ხელმძღვანელებს), სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს, შიდა აუდიტის სამსახურს, სამეცნიერო-კვლევით ერთეულებს და სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს.
5. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
6. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი,

პროფესორი **დავით ბარათაშვილი**